Giorgi Lomidze Digitally signed by Giorgi Lomidze
Date: 2021.02.12 17:47:02 +04'00'

შეთანხმების აქტი
ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

ქ. თბილისი 12 თებერვალი, 2021 წელი

ერთი მხრივ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (205296650) წარმოდგენილი სამსახურის უფროსის გელა გელაძის სახით და და მეორე მხრივ შპს „ენემი“ (405191901) წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე რურუას (02001001132) სახით, 2020 წლის 31 დეკემბრის N02/2 ხელშეკრულების 8.6 პუნქტის შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტზე ხელის მოწერით ვთანხმდებით შემდეგზე: 2021 წლის 12 თებერვლიდან შეწყდეს მხარეებს შორის 2020 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედება. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 06 აპრილის N1518 განკარგულება „შპს „ენემის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ“ (ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, შპს „ენემის“ მიერ ჩადენილია არაკეთილსინდისიერი ქმედება).

შეთანხმების აქტზე ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მხარეებს ერთმანეთის მიმართ არანაირი პრეტენზია და მოთხოვნის უფლება არ გააჩნიათ.

მხარეები შეთანხმებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ შეთანხმება შედგენილია მათთვის გასაგებ ენაზე და არ შეიცავს ბუნდოვან დებულებებს.

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ხელშეკრულება ფაქტობრივი ხელმოწერის შემთხვევაში შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, აქედან ორი ეგზემპლარი გადაეცემა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, ხოლო ერთი - შპს „ენემის“.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მანდატურის სამსახური:
საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
სამსახურის უფროსი
---------- /გელა გელაძე/
მისამართი: ქ. თბილისი მ. ალექსიძის II შესახვევი, N2

შპს „ენემი“ (405191901)
დირექტორი ---------- / ალექსანდრე რურუა (02001001132)/

მისამართი: საქართველო, აბაშის რაიონი, ს. გაუწყინარი, მე–3 ქ., N 9